



9974/4-2/21 2 30092021

9974/4-2/21

30-09-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,
ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2015-2021 წლებში რამდენი სააღსრულებო ფურცელი გაიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
2. 2015-2021 წლებში რა რაოდენობის თანხებზეა გაცემული პირველ პუნქტში მითითებული სააღსრულებო ფურცლები (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
3. 2015-2021 წლებში როგორია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი (დაკმაყოფილდა/უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე). გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
4. 2015-2021 წლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევების არსებობისას, რით იყო განპირობებული აღნიშნული გადაწყვეტილება (უარის საფუძველი/მიზეზი).
5. 2015-2021 წლებში როგორია სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების მაჩვენებელი და ამ საჩივრების

განხილვის შედეგები (დაკმაყოფილდა/არ დაკმაყოფილდა). გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.

6. 2015-2021 წლებში როგორია სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების მაჩვენებელი და ამ საჩივრების განხილვის შედეგები (დაკმაყოფილდა/არ დაკმაყოფილდა). გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემისას, ხდება თუ არა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გარდა სხვა საექსპერტო დაწესებულების დასკვნის მიღება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორია ამ ექსპერტიზის დასკვნების ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით (2015-2021 წლები).
8. ჩერდება თუ არა სააღსრულებო წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების შემთხვევაში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა არის შეჩერების საფუძველი და როგორია სააღსრულებო წარმოებათა საერთო რაოდენობაში წარმოების შეჩერების ხვედრითი წილი. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით (2015-2021 წლები).
9. შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, როგორია 2015-2021 წლებში, სახდელდადებულობის პერიოდში სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის მაჩვენებელი? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
10. შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, რამდენს შეადგენდა 2015-2021 წლებში სამართალდამრღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა და აქედან რამდენი იყო ნებაყოფლობით გადახდილი ან იძულებითი აღსრულების გზით ამოღებული? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.

11. 2015-2021 წლებში, როგორია ავტოსაგზაო შემთხვევებისას დადგენილ ბრალეულ პირთა მხრიდან ავტოსაგზაო შემთხვევების განმეორებით ჩადენის მაჩვენებელი სახდელდადებულობის პერიოდში? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე